

WIZZ ანგარიშის წესები და პირობები

1. განმარტებები

Wizz Air-ის ტრანსპორტირების ზოგად პირობებში განსაზღვრულ ტერმინებსა და გამოთქმებს იგივე მნიშვნელობა აქვთ წინამდებარე WIZZ ანგარიშის წესებსა და პირობებში გამოყენებისას, თუ ქვემოთ არ არის მითითებული ან კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს.

1.1. ტრანსპორტირების ზოგადი პირობები: Wizz Air-ის ტრანსპორტირების ზოგადი პირობები (Wizz Air ჯგუფის კომპანიების მიხედვითა და მასთან დაკავშირებით გაიცემა ავიაბილეთი), რომელიც გამოქვეყნებულია ვებგვერდზე და დროდადრო იცვლება Wizz Air-ის მიერ.

1.2. მგზავრი: ფიზიკური პირი, რომელიც სარგებლობს Wizz Air-ის მგზავრთა გადაყვანის სერვისებით.

1.3. თქვენ ან კლიენტი: ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც გაიარა რეგისტრაცია.

1.4. რეგისტრაცია: თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და საკონტაქტო მონაცემების (სახელი, გვარი, სქესი, ქვეყნის კოდი, მობილური ტელეფონის ნომერი, ელფოსტის მისამართი, ეროვნება/მოქალაქეობა) რეგისტრაცია შპს Wizz Air Hungary-ის IT სისტემაში. რეგისტრაციის საგანია WIZZ ანგარიშის გახსნა, კლიენტის კონტაქტების გააქტიურება და კლიენტისთვის ფრენების დაჯავშნის შესაძლებლობის მიცემა, ე.ი. ავია ბილეთების შეძენა ვებგვერდის ან მობილური აპლიკაციის საშუალებით.

1.5. ვებგვერდი ნიშნავს www.wizzair.com

1.6. მობილური აპლიკაცია ნიშნავს WIZZ-ის მობილურ აპლიკაციას

1.7. WIZZ ანგარიში: ანგარიში, სადაც კლიენტი ყიდულობს და გროვდება WIZZ კრედიტების რეალური ბალანსი, რომელიც იქმნება რეგისტრაციის საშუალებით. WIZZ ანგარიშის ოპერირებას და მასთან წვდომას უზრუნველყოფს შპს Wizz Air Hungary. WIZZ ანგარიშის გამოყენება შესაძლებელია ჯავშნების გასაკეთებლად და Wizz Air ჯგუფის თითოეული კომპანიის სერვისების შესაძენად.

1.8. WIZZ ანგარიშის ნომერი: WIZZ ანგარიშის 10 ციფრიანი საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც იქმნება რეგისტრაციის დასრულებისთანავე.

1.9. WIZZ კრედიტი: მხოლოდ WIZZ ანგარიშთან მკაცრად დაკავშირებული საანგარიშო საშუალება. კლიენტებს შეუძლიათ გამოიყენონ WIZZ კრედიტი ავია ბილეთების ან სხვა სერვისების შესაძენად Wizz Air ჯგუფის თითოეული კომპანიისგან. WIZZ კრედიტის მიღება შესაძლებელია Wizz Air ჯგუფის თითოეული კომპანიისგან, გარემოებების გათვალისწინებით, Wizz Air-ის მიერ განხორციელებული აქციების, მიმდინარე

ღონისძიებების, ფრენების გაუქმების ან რაიმე სხვა აქტივობის, შემთხვევების ან მოვლენების გამო, და მათი გამოყენება უნდა მოხდეს არსებული წესებისა და პირობების შესაბამისად.

1.10. **ძირითადი ვალუტა:** WIZZ ანგარიშის ვალუტა, რომელიც განისაზღვრება WIZZ ანგარიშზე შესრულებული პირველი ტრანზაქციით.

1.11. **Wizz Air ან ჩვენ:** Wizz Air ჯგუფის კომპანიები (კერძოდ, შპს Wizz Air Hungary. ან შპს Wizz Air UK. ან შპს Wizz Air Abi Dhabi ან Wizz Air ჯგუფის რომელიმე სხვა კომპანია), რომელიც გასცემს Wizz კრედიტებს ან ახდენს იმ რეისის ოპერირებას, რომლის ავიაბილეთი ან სხვა სერვისებიც შეიძინეთ.

1.12. **WIZZ კრედიტის გამოყენების პირობები:** WIZZ კრედიტის გამოყენების წესები და პირობები, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე წესებისა და პირობების დანართში 1.

1.13. **Wizz Air-ის სერვისები:** მგზავრთა და ბარგის საჰაერო ტრანსპორტირება.

1.14. **საინფორმაციო ცენტრი:** Wizz Air-ის სატელეფონო გუნდი კლიენტთა მომსახურებისთვის. საინფორმაციო ცენტრის ნომრების ნახვა შეგიძლიათ ჩვენს საკონტაქტო გვერდზე.

2. WIZZ ანგარიშის გახსნა

2.1. კლიენტს WIZZ ანგარიშის გახსნა შეუძლია კლიენტის პერსონალური მონაცემების დარეგისტრირებით, როგორც აღწერილია პუნქტში 1.3. და ინვოისის მონაცემებით. WIZZ ანგარიში საჭიროა ვებგვერდზე ან მობილურ აპლიკაციაში Wizz Air-ის ფრენებზე ჯავშნების გასაკეთებლად.

3. WIZZ ანგარიშის ბალანსის გამოყენება

3.1. WIZZ ანგარიშის ბალანსი მოიცავს Wizz Air ჯგუფის ერთი ან მეტი კომპანიის მიერ გაცემულ ან ატვირთულ WIZZ კრედიტებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს მოქმედების სხვადასხვა ვადა და გამოყენების კრიტერიუმები. WIZZ კრედიტების გამოყენება შესაძლებელია წინამდებარე წესებისა და პირობების დანართში 1 მოცემული პირობების შესაბამისად.

3.2. WIZZ ანგარიშის ბალანსის გამოყენება შესაძლებელია Wizz Air-ის ავიაბილეთებისა და სხვა სერვისების შესაძენად და არსებული ჯავშნის შესაცვლელად და/ან ჯავშანზე Wizz Air-ის დამატებითი სერვისების დასამატებლად.

3.3. WIZZ ანგარიშით გადახდილი ჯავშნისას, WIZZ ანგარიშის მფლობელი უნდა იყოს ჯავშანში გათვალისწინებული ერთ-ერთი მგზავრი, ხოლო ჯავშანი არ უნდა მოიცავდეს 5-ზე მეტ (ხუთი ადამიანი) პირს.

3.4. ჯავშანის გაკეთებისას ან შეცვლისას, რეგისტრაციის დროს წარმოდგენილი ელფოსტის მისამართი და პაროლი, რომელიც ეკუთვნის WIZZ ანგარიშს, უნდა ჩაწეროთ დაჯავშნისას ვებგვერდის ან მობილური აპლიკაციის მეშვეობით.

3.5. თუ WIZZ ანგარიშზე WIZZ კრედიტის თანხა არ არის საკმარისი ჯავშნის საფასურის გადასახდელად, სხვაობა შეიძლება საბანკო ბარათით გადაიხადოთ.

3.6. თუ დაჯავშნა WIZZ ანგარიშის ძირითადი ვალუტისგან განსხვავებული ვალუტით განხორციელდა, Wizz Air-ის მიერ მოხდება დაჯავშნის ვალუტაში არსებული თანხის კონვერტაცია ძირითად ვალუტაში და ის გამოიქვითება WIZZ ანგარიშის WIZZ კრედიტებიდან. ვადის გასვლის თარიღი არ უნდა სცდებოდეს შეზღუდვის პერიოდს, რომელსაც შესაბამისი კანონმდებლობა განსაზღვრავს.

3.7. იმ შემთხვევაში, თუ Wizz Air-ი გააუქმებს რეისს, რომლის საფასურიც მთლიანად ან ნაწილობრივ გადახდილი გაქვთ WIZZ ანგარიშიდან WIZZ კრედიტებით, მგზავრს უნდა დაუბრუნდეს WIZZ კრედიტებით გადახდილი WIZZ კრედიტების მინიმუმ ნაწილი მაინც. Wizz Air-ი იტოვებს უფლებას, თავად გადაწყვიტოს, მგზავრს აუნაზღაუროს Wizz Air-ისგან შეძენილი ავიაბილეთისა და სხვა სერვისების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფასურზე მეტი მისი გადაწყვეტილებით რეისის გაუქმების შემთხვევაში, და ეს გადაწყვეტილება შეიძლება ეხებოდეს მგზავრის მიერ Wizz Air-ისგან შეძენილი ავიაბილეთისა და სერვისების მთლიან საფასურს, ან WIZZ კრედიტებით გადახდილი თანხის ნაწილს ან მხოლოდ გადახდილი თანხის ნაწილს.

3.8. WIZZ ანგარიშის გამოყენება შესაძლებელია შ.პ.ს. „Wizz Air Hungary-ის“, შ.პ.ს. „Wizz Air UK-ს“, შ.პ.ს. „Wizz Air Abu Dhabi-სა“ და Wizz Air ჯგუფის რომელიმე სხვა კომპანიის მიერ ოპერირებული ავიაბილეთების შესაძენად.

4. WIZZ ანგარიშის ბალანსი

4.1 ინფორმაცია WIZZ ანგარიშის ბალანსის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ინტერნეტით ვებგვერდზე ან მობილური აპლიკაციის საშუალებით.

5. WIZZ ანგარიშის გაუქმება

5.1 წვრილმანი დანაშაულის ან მძიმე დანაშაულის საფუძვლიანი ეჭვის, ან თქვენი WIZZ ანგარიშის ან WIZZ კრედიტების გამოყენებასთან დაკავშირებით ნებისმიერი ეჭვის და/ან უჩვეულო და/ან თაღლითური ქმედებების დაფიქსირების შემთხვევაში, Wizz Air Hungary-ი იტოვებს უფლებას, შეაჩეროს WIZZ ანგარიში 30 დღის გამავლობაში და

დაუყოვნებლივ გაცნობოთ ელფოსტის ან სხვა რაიმე საშუალებით აღნიშნული შეჩერების შესახებ და გამოიძიოს ზემოთ აღნიშნული ფაქტი, ან დაუყოვნებლივ დახუროს თქვენი WIZZ ანგარიში. ანგარიშის შეჩერების შემთხვევაში და თუ Wizz Air Hungary-ი ჩათვლის საჭიროდ, შეჩერება შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 30 დღით, რომლის შესახებაც გეცნობებათ ამავე პარაგრაფში ხსენებული ზემოთ აღნიშნული საშუალებებით.

5.2. WIZZ ანგარიშის შეჩერების გარდა, Wizz Air-ი იტოვებს უფლებას, გაატაროს ყველა შესაძლო იურიდიული ქმედება და დაუკავშირდეს შესაბამის ორგანოებს/პოლიციას 5.1 პარაგრაფში ხსენებული ფაქტების შემთხვევაში.

5.3. შეჩერების პერიოდში ვადაგასული WIZZ კრედიტების ვადის გაგრძელება, ანაზღაურება ან კომპენსირება არ მოხდება. Wizz Air-ი იტოვებს უფლებას, გააუქმოს წვრილმანი დანაშაულის, მძიმე დანაშაულის ან ეჭვის და/ან ზემოთ ხსენებული უჩვეულო და/ან თაღლითურ ქმედებებთან დაკავშირებით ან საშუალებით მიღებული WIZZ კრედიტები.

5.4. WIZZ ანგარიშის დახურვის დროს (გაუქმება მოხდება Wizz Air-ის მიერ ან კლიენტის გადაწყვეტილების საფუძველზე) WIZZ ანგარიშზე არსებული WIZZ კრედიტების კონვერტაცია ფულზე/ნაღდ ფულზე, ანაზღაურება ან კომპენსირება არ მოხდება.

6. სხვა დებულებები

6.1. კლიენტმა კონფიდენციალურად უნდა გამოიყენოს WIZZ ID, WIZZ ანგარიშის ელფოსტის მისამართი და WIZZ ანგარიშთან დაკავშირებული პაროლი. Wizz Air Hungary-ი არ აგებს პასუხს WIZZ ID-ის, ელფოსტისა და პაროლის ბოროტად გამოყენებით, ასევე, კლიენტის (WIZZ ანგარიშის მფლობელი) გარდა სხვა პირისათვის მისი გამჟღავნებით გამოწვეულ რაიმე ზარალზე.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულება იდება შპს Wizz Air Hungary-ისა. და კლიენტს შორის, რომლის მიხედვითაც Wizz Air Hungary-ი კლიენტს ანიჭებს უფლებამოსილებას, წვდომა ჰქონდეს Wizz Air ჯგუფის სხვა კომპანიების მიერ გაცემულ, უზრუნველყოფილ და აქტიურულ WIZZ კრედიტებზე WIZZ ანგარიშზე და გამოიყენოს ავიაბილეთების ან Wizz Air-ის სხვა სერვისების შესაძენად. წინამდებარე შეთანხება შედგენილია და ყოველმხრივ ძალაშია უნგრეთის კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე წარმოშობილი დავების მოგვარება, პირველ რიგში, შეთანხმებაში მონაწილე მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით უნდა განხორციელდეს.

6.3. გარდა წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულისა, Wizz Air-გან WIZZ ანგარიშის გამოყენებით შეძენილი სერვისები დაექვემდებარება Wizz Air-ის ტრანსპორტირების ზოგად პირობებს.

6.4. კლიენტი აცხადებს, რომ ის გაეცნო წინამდებარე შეთანხმებაში მოცემულ წესებს. კლიენტი ასევე აცხადებს, რომ მან წინამდებარე შეთანხმების წესების შესახებ მგზავრს სათანადო ინფორმაცია მიაწოდა და რომ მგზავრს ესმის აღნიშნული წესები და იღებს მათ.

6.5. Wizz Air-ი იტოვებს უფლებას, ცვლილებები შეიტანოს წინამდებარე პირობებში. Wizz Air-ი აცნობებს ყველა კლიენტს აღნიშნული ცვლილებების შესახებ ვებგვერდის და/ან მობილური აპლიკაციის საშუალებით. WIZZ ანგარიშის გამოყენებით, თქვენ ეთანხმებით წინამდებარე წესებსა და პირობებს.

2020 წლის 1 ივლისი

დანართი 1.

WIZZ კრედიტის გამოყენების პირობები

1. ტერმინთა განმარტება

- წინამდებარე გამოყენების პირობები ეხება Wizz Air ჯგუფის რომელიმე კომპანიის მიერ კლიენტზე გაცემული და უზრუნველყოფილი WIZZ კრედიტების გამოყენებას.
- წინამდებარე გამოყენების პირობები განიმარტება, გამოიყენება და იმოქმედებს WIZZ ანგარიშის წესებსა და პირობებთან ერთად.
- წინამდებარე გამოყენების პირობები წარმოადგენს WIZZ ანგარიშის წესებისა და პირობების განუყოფელ ნაწილს, თუმცა ამ ორ დოკუმენტს შორის ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე გამოყენების პირობებს.
- Wizz ანგარიშის წესებსა და პირობებში განსაზღვრულ განმარტებებს, ტერმინებსა და გამოთქმებს იგივე მნიშვნელობა აქვთ წინამდებარე WIZZ კრედიტის გამოყენების პირობებში გამოყენებისას, თუ ქვემოთ არ არის მითითებული ან კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს.

2. უფლების ქონა

- თქვენ შეიძლება გქონდეთ უფლება და მიიღოთ WIZZ კრედიტები Wizz Air-ის მიერ დადგენილი რაიმე შემთხვევის, აქტივობის ან მოვლენის გამო. WIZZ კრედიტს შეიძლება

ჰქონდეს კომპენსაციის ან ჯილდოს დანიშნულება ვებგვერდზე, მობილურ აპლიკაციაში ან Wizz Air-თან დაკავშირებულ ან მის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით თქვენ მიერ შესრულებული ქმედებებისთვის. WIZZ კრედიტები შეიძლება გაიცეს Wizz Air ჯგუფის რომელიმე კომპანიის მიერ რეისის გაუქმების (მათ შორის და არა მარტო), აქციების, კონკურენციის, მიმდინარე ღონისძიებების გამო

2. თქვენი უფლებების განსაზღვრისთანავე, WIZZ კრედიტები აიტვირთება თქვენს WIZZ ანგარიშზე შემთხვევასთან, აქტივობასთან ან იმ მოვლენასთან დაკავშირებულ შესაბამის შეტყობინებაში, რისთვისაც მიიღეთ WIZZ კრედიტები.

3. თქვენ შეიძლება მიიღოთ WIZZ კრედიტები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ WIZZ ანგარიში. ისეთ შემთხვევებში, როდესაც თქვენ ხართ დამჯავშნელი (ტრანსპორტირების ზოგადი პირობების თანახმად) და იღებთ WIZZ კრედიტებს სხვა მგზავრის სახელით, თქვენ უნდა აცნობოთ მგზავრებს Wizz კრედიტების მიღების შესახებ, გამოიყენოთ WIZZ კრედიტები და იმოქმედოთ WIZZ კრედიტებთან დაკავშირებით ტრანსპორტირების ზოგადი პირობების შესაბამისი პირობების თანახმად.

3. გამოყენება, გამოყენებადობა და ვადის გასვლა

3.1. თქვენ შეიძლება გამოიყენოთ თქვენს WIZZ ანგარიშზე მიღებული და ატვირთული WIZZ კრედიტები წინამდებარე გამოყენების პირობების შესაბამისად.

3.2. Wizz Air-ი უფლებამოსილია განსაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები ან შეზღუდვები WIZZ კრედიტებსა და მათ გამოყენებაზე იმ შემთხვევასთან, ღონისძიებასთან ან აქტივობასთან დაკავშირებულ შეტყობინებაში ან კომუნიკაციის პერიოდში, რისთვისაც მიიღეთ Wizz კრედიტები, ცალკეულ შეტყობინებაში ან სხვაგვარად, საკუთარი შეხედულებისამებრ, ასეთ შემთხვევაში ერთობლივად იმოქმედებს წინამდებარე გამოყენების პირობები და შესაბამისი ცალკეული შეტყობინება. ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში, იმოქმედებს წინამდებარე გამოყენების პირობები.

3.3. WIZZ კრედიტების გამოყენება შესაძლებელია ანგარიშსწორებისთვის Wizz Air-ის ავიაბილეთების ან სხვა სერვისების შეძენის შემთხვევაში. WIZZ კრედიტების გამოყენება შესაძლებელია არა უმეტეს 5 მგზავრის ჯავშნების ანგარიშსწორებისთვის, როდესაც WIZZ ანგარიშის მფლობელი არის ჯავშნის ერთ-ერთი მგზავრი. Wizz კრედიტის გამოყენება ასევე შესაძლებელია არსებული ჯავშნების შესაცვლელად.

3.4. Wizz Air-მა შეიძლება განსაზღვროს WIZZ კრედიტების პროცენტი ან ოდენობა, ან WIZZ კრედიტების პროპორცია და თანხა, რომლის გამოყენებაც შეიძლება გარკვეული ტრანზაქციების დროს საკუთარი შეხედულებისამებრ ან შეიძლება შეზღუდოს WIZZ კრედიტების გამოყენება გარკვეული ავიაბილეთების ან სერვისების შესაძენად.

3.5. WIZZ კრედიტების ვალუტა იგივეა, რაც თქვენი WIZZ ანგარიშის ძირითადი ვალუტა.

3.6. მოქმედების ვადა, შესაბამისად, WIZZ კრედიტების გამოყენებადობა შეიძლება განსხვავდებოდეს იმ შემთხვევის, მოვლენის ან აქტივობის მიხედვით, რისთვისაც ისინი გადმოგეცათ თქვენ, რომელიც მითითებული იქნება Wizz Air-ის მიერ შემთხვევასთან, მოვლენასთან ან აქტივობასთან დაკავშირებულ შესაბამის შეტყობინებაში, რის გამოც თქვენ მიიღეთ WIZZ კრედიტები

3.7. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენს WIZZ ანგარიშზე ატვირთული WIZZ კრედიტები მათი მოქმედების ვადის შესაბამისად, მხოლოდ მოქმედების ვადის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით. Wizz Air-ი იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს გააანგრძლივოს WIZZ კრედიტების იურიდიული მოქმედება, საკუთარი შეხედულებისამებრ.

3.8. Wizz Air-ის ავიაბილეთების ან სხვა სერვისების შეძენის შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ ნაწილობრივ გამოიყენოთ თქვენს WIZZ ანგარიშზე არსებული WIZZ კრედიტები ანგარიშსწორებისთვის, ან გადაიხადოთ მთლიანი თანა/საფასური WIZZ კრედიტებით, წინამდებარე 3 პარაგრაფის შესაბამისად. და აღნიშნული შესყიდვის ზუსტი პირობების დაცვით.

3.9. WIZZ ანგარიშზე არსებული WIZZ კრედიტები არ ექვემდებარება ანაზღაურებას და სხვა ანგარიშზე გადარიცხვას. დაუშვებელია WIZZ კრედიტის კონვერტაცია ფულზე/ნაღდ ფულზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს კონკრეტულად განსაზღვრული ან დაშვებული არ არის Wizz Air-ის მიერ.

4. ზოგადი დებულებები

4.1. Wizz Air-ის ყველა სახის წახალისება, ტარიფი თუ სხვა სპეციალური შემოთავაზებები ექვემდებარება მოცემული კონკრეტული შემოთავაზების წესებსა და პირობებს.

4.2. კომერციული მიზნებისთვის ავიაბილეთების და/ან სერვისების შეძენის შეთავაზება WIZZ კრედიტების გამოყენებით არ უნდა მოხდეს თქვენ ან მესამე მხარის მიერ, თუ ეს დაშვებული არ არის თქვენს მიერ Wizz Air-თან გაფორმებული კონტრაქტით. ეს პირობა ვრცელდება და არა მარტო, ინტერნეტ აუქციონებზე ან სხვა ვებ პლატფორმებზე.

4.3. WIZZ ანგარიშის შექმნისას თქვენ უნდა წარმოადგინოთ ზუსტი და სწორი (პერსონალური) მონაცემები და დაიცვათ ეს მონაცემები WIZZ კრედიტების გამოყენებისას. თუ თქვენ არ დაიცავთ ზემოთ აღნიშნულ ვალდებულებას, Wizz Air-ი იტოვებს უფლებას, იმოქმედოს WIZZ ანგარიშის წესებისა და პირობების 5 პარაგრაფის შესაბამისად.

4.4. Wizz Air-ი იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე გამოყენების პირობები და გაცნობოთ ამის შესახებ ელფოსტით ან სხვა

საშუალებით და გამოაქვეყნოს WIZZ ანგარიშის შეცვლილი პირობები ვებგვერდზე და მობილურ აპლიკაციაში.

4,5. თუ სხვაგვარად არ არის აქ მითითებული, WIZZ კრედიტების გამოყენებით ვებგვერდსა თუ მობილურ აპლიკაციაში შესრულებულ ჯავშნებსა და შეძენილ სერვისებზე გავრცელდება Wizz Air ჯგუფის კომპანიის მიერ შესრულებული რეისის ტრანსპორტირების ზოგადი პირობები.

5. მარეგულირებელი კანონმდებლობა

5.1. წინამდებარე გამოყენების პირობები ექვემდებარება უნგრეთის კანონმდებლობას და უნგრეთის სასამართლოების არაგანსაკუთრებულ იურისდიქციას.